I. ქართული ლიტერატურა

(2) **1. ვარსქენ პიტიახშმა ორჯერ აკრძალა შუშანიკ დედოფლის სანახავად ვინმეს შეშვება.**

1. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, როგორ მოახერხა პირველად იაკობმა სენაკში შეღწევა და ნაწამები დედოფლის ნახვა.
2. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, როგორ მოახერხა იაკობმა ციხეში შეღწევა დედოფლის სანახავად.

(1) **2. გაიხსენეთ იოვანე საბანისძის თხზულება „აბო თბილელის წამება“.**

რა საფრთხეზე მიანიშნებს ავტორი შედარებით: „განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“?

(2) **3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**

1. *რატომ* ვერ აღასრულა ცქირის ბოროტი განზრახვა გრიგოლ ხანძთელთან მიგზავნილმა კაცმა?
2. *როგორ* მოექცა გრიგოლი ცქირის მიერ მიგზავნილ კაცს?

(5) **4. გაიხსენეთ „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“.**

1. *რატომ* სთხოვს ნესტანი მიჯნურს, არ წამოვიდეს ქაჯებთან საბრძოლველად?
2. ნესტანის აზრით, *სად* შეხვდება იგი თავის მიჯნურს?
3. *რა* კონკრეტულ დავალებას აძლევს ნესტანი ტარიელს?
4. *რას* უგზავნის წერილთან ერთად ნესტანი ტარიელს?
5. ნესტანის ხასიათის *რა* ძირითადი თვისება ჩანს მის წერილში?

(4) **5. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“.**

1. *რატომ* დასახლდა, ნაწარმოების მიხედვით, გურამიშვილი ლამისყანაში? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)
2. *რატომ* მოახერხეს ლეკებმა დავითის იოლად გატაცება?
3. *საიდან* ჩანს, რომ დატყვევებული დავითი ბედს არ ურიგდებოდა?
4. *ვის* იმედად იყო ტყვეობაში მყოფი დავით გურამიშვილი?

(2) **6. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“.**

1. *სად* „ეძიებს სადგურს“ პოეტის გულისთქმა?
2. *რა* არის შედარებული „მხურვალე ლოცვით მიქანცებულ“ სულთან?

(2) **7. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა“.**

1. პოეტის აზრით, *რა* თვისება ახასიათებს ხორციელ სილამაზესთან „შენამსჭვალებ“ გულს? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)
2. *რას* საყვედურობს ავტორი ბანოვანს? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)

(2) **8. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“.**

1. *რა* სასწაული მოევლინებოდა ხოლმე განდეგილს იმის დასტურად, რომ „წამება მისი ღმერთს შეუწირავს“?
2. *რა* გაიფიქრა განდეგილმა, როდესაც აღმოჩნდა, რომ სენაკში შემოსული სტუმარი ქალი იყო? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)

(2) **9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „მგზავრის წერილები“.**

1. რუსი ოფიცრის *რა* თვისებას გვიჩვენებს ავტორი, როდესაც ეს პერსონაჟი ბუზების შესახებ საუბრობს?
2. *რატომ* ეგონა ლელთ ღუნიას, რომ მგზავრი ქართველი არ იყო? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)

(4) **10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.**

1. *რა* კითხვა დაუსვა ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგს, როდესაც „სიდიადე ამ მუხთლობის თვალწინ გაისიგრძეგანა“? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)
2. *რა* პასუხი გასცა ამ შეკითხვას საფარ-ბეგმა? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)
3. *როგორ* მოიქცა საფარ-ბეგი, როდესაც ჰაჯი-უსუბმა „შეაყენა ზედა ფეხზე... დამბაჩა გატენილი“?

4. *რა* უთხრა ბოლოს ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგს? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)

(4) **11. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“.**

1. კონკრეტულად *რის* გამო მოუწია ალუდას მუცალთან და მის ძმასთან შებრძოლება?
2. *რატომ* შეეცოდა ალუდას მუცალი და ვერ გაიმეტა იგი „მარჯვენის მოსაჭრელადა“?
3. მუცალთან შებრძოლების თხრობისას *რის* გამო აქციეს ალუდას ზურგი ხევსურებმა „პირითა ჯავრიანითა“?
4. *რა* საქციელის გამო უთხრა ალუდამ საყვედური მინდიას?

(1) **12. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.**

რა პრაქტიკული მიზანი ამოძრავებდა არისტო ქვაშავიძეს, როდესაც მამიდის გათხოვებას ცდილობდა?

(2) **13. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.**

1. *რას* ადარებს „ნაწვიმარ სილაში ვარდს“ ავტორი?
2. *რომელ* ევროპელ პოეტს მოიხსენიებს ამ ლექსში ავტორი?

(4) **14. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.**

(1) 1. *რატომ* უჭირდა მეფე გიორგის მამამზე ერისთავის ღალატის დაჯერება?

(1) 2. ავტორი მოგვითხრობს: „ახლა მიხვდნენ გიორგი და ზვიადი მამამზე ერისთავის დარბაზობის ნამდვილ მიზეზს“. *რა* იყო, მეფისა და სპასალარის აზრით, „დარბაზობის ნამდვილი მიზეზი“?

(2) 3. გიორგი პირველი შიშობდა, რომ ამბოხებულ ფეოდალთა უკან, შესაძლოა, საქართველოს ორი მტერი მდგარიყო. *დაასახელეთ* ორივე მტერი.

(2) **15. გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძბა“.**

1. *რა* მიზნით გასცა ბრძანება კუზმა კილგამ, გემზე მძევლად დაეტოვებინათ ბექირბი ჩაჩბა?
2. *რა* რეაქცია მოჰყვა სოხუმის მოსახლეობაში კუზმა კილგას ამ ბრძანებას?

(2) **16. გაიხსენეთ ტიციან ტაბიძის ლექსი „მეწყერი მეწყერს“.**

1. *დაასახელეთ* ერთ-ერთი მხატვრული სახე, რომლის მეშვეობითაც ავტორი შამილის ბრძოლაზე მიანიშნებს.
2. *დაასახელეთ* „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მხატვრული სახე, რომელსაც ლექსის ავტორი საკუთარი განწყობილების გამოსახატავად იყენებს.

(1) **17. გაიხსენეთ პაოლო იაშვილის ლექსი „წერილი დედას“.**

რას სთხოვს ავტორი დედას?

(1) **18. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.**

რისთვის არის საჭირო, ვასიკო კეჟერაძის აზრით, „კარცერი-ლუქსი“?

(1) **19. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.**

რატომ გადაწყვიტა ბელადმა: „იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“?

II. წერითი დავალება

ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და შეასრულეთ ***ორივე*** წერითი დავალება.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>**.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი. <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 24.

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი რეი ბრედბერის თხზულებიდან „მოთხრობა სიყვარულზე“:

ეს ის კვირა იყო, ენ ტეილორი გრინთაუნში რომ ჩამოვიდა საზაფხულო სკოლის მასწავლებლად. მას უკვე ოცდაოთხი წელი შესრულებოდა. ბობ სპოლდინგი კი ჯერ თოთხმეტისაც არ გამხდარიყო. ენი ის მასწავლებელი იყო, რომლისთვისაც ყველა მოწაფეს სურდა მიერთმია ულამაზესი ფორთოხალი ან ვარდისფერი ყვავილები... ბობ სპოლდინგი კი ის ბიჭია, ოქტომბრის საღამოობით მარტოდმარტო რომ დაეხეტება ქალაქში და თან მისდევს ჩამოცვენილი ფოთლების ჯარი...

იმ პირველ დილას მის ენ ტეილორი კლასში გვერდითა კარებიდან შევიდა და, სანამ დაფაზე მრგვალი ასოებით თავისი სახელი და გვარი გამოჰყავდა, ბავშვები მონუსხულებივით ისხდნენ. „მე ენ ტეილორი ვარ, თქვენი ახალი მასწავლებელი“, ხმადაბლა თქვა მან.

უეცრად ოთახში თითქოს შუქი დაიღვარა, თითქოს შენობას სახურავი ახადეს და ხეებზე მსხდომი ჩიტების ჟივილ-ხივილი მოისმა...

იმ დროს, გაკვეთილები რომ დამთავრდა, ბობმა კლასში წყლით სავსე ვედრო და ტილო შემოიტანა და დაფების წმენდას შეუდგა. „რას აკეთებ?“ – მიუბრუნდა მის ტეილორი, იგი მაგიდას უჯდა და რვეულებს ასწორებდა. „დაფები ჭუჭყიანია“, – უპასუხა ბობმა ისე, რომ წმენდა არ შეუწყვეტია. „დიახ, სწორია, მაგრამ ვითომ გეხალისება მაგათი წმენდა?“ „ალბათ, ნებართვა უნდა მეთხოვა“, – თქვა ბიჭმა და მოკრძალებით შეჩერდა. „ჩავთვალოთ, რომ მთხოვე“. „დიახ, მემ“. „რა მეთქმის, ბობ, მადლობელი ვარ“. „შეიძლება ყოველდღე გავწმინდო ხოლმე?“ – იკითხა ბიჭმა. „იქნებ სხვებსაც ეცადათ?“ „მე თვითონ მინდა, ყოველდღე“. „კეთილი, მხოლოდ რამდენიმე დღე, მერე კი ვნახოთ“, – თქვა ქალიშვილმა.

მეორე დილით ბიჭი იმ სახლთან გაჩნდა, რომელშიც ქალიშვილს პანსიონის ბინა დაექირავებინა... „აი, მეც მოვედი“, – თქვა ბიჭმა. „წარმოიდგინე, არ გამკვირვებია“, – იყო პასუხი. ისინი ერთად გაუდგნენ გზას. „შეიძლება თქვენი წიგნები წამოვიღო?“ – იკითხა ბიჭმა. „კარგი, ბობ, გმადლობთ“. ქალმა ოდნავ ზემოდან გადახედა. დაინახა, რა მხიარულად,

ლადად მიაბიჯებდა იგი და გაიფიქრა, დაე პირველმა მან თქვას რამეო; მაგრამ ბობი დუმდა. სკოლის ეზოს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭმა წიგნები დაუბრუნა. „ახლა კი მარტო წავალ, თორემ ბავშვები ვერ გაიგებენ“. „მგონი, არც მე მესმის, ბობ“, – თქვა მის ტეილორმა. „როგორ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ“, – მისთვის ჩვეული გულწრფელობით მიუგო ბობმა. „ბობ...“ – უნდოდა დაეწყო ქალიშვილს. „დიახ, მემ?“ „არა, არაფერი“, – და გაეცალა.

ახლა ბიჭი ყოველდღე ხვდებოდა ქალიშვილს, ოღონდ ისე, რომ იქიდან ვერ დაენახათ და თითქმის ყველა შეხვედრაზე მის ტეილორი იწყებდა: „ბობ...“ უნდოდა ეთქვა, ნუღარ დამხვდებიო, მაგრამ ვერ ეუბნებოდა და ისევ ერთად მიდიოდნენ სკოლისაკენ და ერთად ბრუნდებოდნენ სკოლიდან. საუბრობდნენ დიკენსზე, კიპლინგზე, პოსა და კიდევ სხვა მწერლებზე.

სამშაბათს, გაკვეთილების შემდეგ, ორივენი ისევ ჩაჩუმებულ კლასში დარჩნენ. ბობი კმაყოფილი იყო, ეგონა, რომ ეს საღამო უსასრულოდ გაგრძელდებოდა... მის ტეილორმა თავი ასწია, ხანგრძლივი მზერა მიაპყრო საათს და კალამი გვერდით გადადო. „ბობ“, – თქვა მან. ბიჭი შემკრთალი შემობრუნდა. მთელი ამ ბედნიერებით სავსე საათის განმავლობაში არც ერთ მათგანს სიტყვა არ დასცდენია...

„ბობ, ხვდები რაზე მინდა გესაუბრო?..“ „დიახ“. „ძალიან კარგია, რომ გვესმის, რაც ხდება, არა?“ „დიახ, ალბათ“. „...ბობ, სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ; უნდა გვახსოვდეს, რა არის მიღებული, უნდა ვიფიქროთ ქალაქზე, ხალხზე, შენზე და ჩემზე... გაფასებ, როგორც გამორჩეულ და კარგ ადამიანს, ბობ, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, მოზრდილ ადამიანზე არ არის საუბარი. არ ვიცი, გასაგებად თუ ვლაპარაკობ“. „ყველაფერი ნათელია, – თქვა ბიჭმა, – უბრალოდ, მე რომ ათი წლით უფროსი და ასე, ოცდაათი სანტიმეტრით უფრო მაღალი ვიყო, ყველაფერი სხვანაირად მოხდებოდა... მაგრამ განა სისულელე არ არის, ადამიანი სიმაღლის მიხედვით შეაფასო?“ „მესმის, შეიძლება სისულელედ გეჩვენოს, – თქვა მის ენმა, – შენ ხომ დიდი და მართალი ბგონია თავი და იცი, რომ სამარცხვინო არაფერი ჩაგიდენია... შეიძლება ოდესმე ადამიანები უფრო გონიერნი და სამართლიანნი გახდნენ და შეძლონ ზუსტად განსაზღვრონ პიროვნების სულიერი ასაკი და თქვან: ეს უკვე ჩამოყალიბებული კაცია... მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერ ძალზე ნაადრევია, ბობ, ჯერჯერობით შეუძლებელია ანგარიში არ გავუწიოთ ასაკსა და სიმაღლეს, როგორც მიღებულია ჩვენთან... ბოლოს და ბოლოს ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთის, ვხვდებით, რომ მართალნი ვართ, პატიოსანნი, რომ ღირსეულად ვიქცეოდით. ერთმანეთს რომ ვუგებთ, ამაში ცუდი არაფერია. ცუდი ფიქრშიაც არ გაგვივლია. ასეთი რამის წარმოდგენაც არ შეგვიძლია. ხომ ასეა, ბობ?“ „დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ რა ვქნა...“ „უნდა გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ, – თქვა მის ენმა, – სანამ ეს მე და შენ ვიცით. თორემ მერე, ალბათ, სხვებიც გაიგებენ. ეგებ სხვა სკოლაში გადავიდე?“ „ო, არა!“ „მაშ, იქნებ შენ გადაგიყვანო?“ „არ არის საჭირო“, – თქვა ბიჭმა. „რატომ?“ „ჩვენ მედისონში გადავდივართ საცხოვრებლად. მომავალ კვირაში წავალთ... მამას იქ მისცეს სამუშაო. მედისონამდე სულ ორმოცდაათი მილია. ქალაქში როცა ჩამოვალ, შეიძლება გინახულოთ ხოლმე?“ „როგორ ფიქრობ, ივარგებს?“ „არა, ალბათ არა...“ „ხომ არ მიბრაზდები?“ „არა, რას ბრძანებთ, თქვენზე გაბრაზება არ შემიძლია... მე თქვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ“. „კარგი სიტყვებია, მაგრამ ახდენა არ უწერია. ცხოვრება სხვანაირადაა მოწყობილი...“ „არასოდეს არ დაგივიწყებთ. რამეს მოვახერხებ, დავიწყებით კი არ დაგივიწყებთ“, – თქვა ბიჭმა.

ბიჭი წავიდა. ეზოში გასულმა უკანასკნელად მოიხედა და ფანჯარაში კიდევ ერთხელ დალანდა მის ენ ტეილორი – იგი დაფასთან იდგა და ნელ-ნელა შლიდა დაწერილ სიტყვებს, ხან ზემოთ სწევდა ხელს, ხან ქვემოთ უშვებდა.

მეორე კვირას ბიჭი ქალაქიდან გაემგზავრა... სულ რაღაც ორმოცდაათი მილის დაშორებით ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ერთხელაც არ ჩასულა გრინთაუნში...

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „ნოველა“:

დაიღუპე! ყველა მიხვდა შენს სიყვარულს, –
  ბავშვს რომ ქალი შეგიყვარდა...
ალბათ სტუმრებს ამ საღამოს ახარხარებს ვინმე, როცა
  შენს უცოდველ სიყვარულზე გაიხუმრებს.
ყველას ეტყვის, იმ ქალს ეტყვის, არ დაგინდობს
  თუ გინდ ისე დაუჩოქო, როგორც ქრისტეს.
ოღონდ არ თქვას, მაგიდასთან ოღონდ არ თქვას,
  გირჩევნია, ჩაგქოლოს და გაგირისხდეს.

მაგრამ, არა! იტყვის, როცა მოგიჯდება
  გვერდით ქალი ძველებური გრავიურის,
კორსეტიან კაბას ალბათ ამოჭრილი
  გულისპირი მოუხდება, ხოლო ყური
თმით ექნება დაფარული და ლანგარზე
  დაიჭრება შოკოლადის დიდი ტორტი,
მისი ქმარი საქმიანად ჩაახველებს,
  რომ გაყიდოს ხავსიანი ანეგდოტი.
ჩუმი დარდით, მხოლოდ ავის წინათგრძნობით,
  ჩუმი დღესასწაულით და ჩუმი გლოვით
ჩამოჯდები დაბნეული სკამზე ქალის
  მეზობლობით და იმისი სიახლოვით.
და როდესაც აბაჟურის წრეში მისი
  თავი შენსკენ დაიხრება მაგიდაზე
და წყალს მოგთხოვს და მიაწვდი,
  ის დიმილით შემოგხედავს და სამსახურს დაგიფასებს,
სწორედ მაშინ შენს უმანკო სიყვარულზე
  ყველას ეტყვის კაცი უღვთო და რეგვენი,
არ დაგინდობს, შენს მუდარას არ შეისმენს,
  თუმცა მზერით იმ კაცს ფეხქვეშ გაეგები.
დაიძრება კედელი და იატაკი
  და გონებას დაგიბნელებს იმის შიში,
რომ ვაითუ, სწორედ დღეს და სწორედ ახლა
  გაითიშოს სული ხორცთან გასათიში.
და შენს ბავშვურ სახეს ცეცხლი მოედება,
  მოედება ცეცხლი მხრებში ჩასულ კისერს
და ვინც გიყვარს, მოგეხვევა და გაკოცებს
  და ულმობლად მერე დიდხანს იკისკისებს.
შენ კი მწარედ ატირდები და ნაჭერი
  უხალისოდ წაიქცევა თეფშზე ტორტის
და კედელზე ქალის სიცილს აიტაცებს
  გახლეჩილი ბროწეულის ნატურმორტი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ გამოხატავს რეი ბრედბერი თავის სათქმელს (ყურადღება მიაქციეთ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებს);
- იმსჯელეთ გივი გეგეჭკორის ლექსში ასახული კონფლიქტის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, ერთი მხრივ, ბიჭის სულიერ სამყაროსა და, მეორე მხრივ, მოზრდილთა დამოკიდებულებას მისი გრძნობის მიმართ);
- იმსჯელეთ, რა არის საერთო ამ ტექსტებს შორის და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან; ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ამ ნაწარმოებებში ასახული თემატიკის მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის წერილის „საქართველოს მოამბეზედ“ ფრაგმენტები:

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა...

ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, – აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა... მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა – შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა, რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა – ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ...

თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინიდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი... მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... დაე, ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა...

ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „[საქართველოს] მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა; ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმედელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან...

ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება – ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა

უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს ჟურნალისტიკის დანიშნულება.
- იმსჯელეთ, როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს მეცნიერებისა და ხელოვნების (მხატვრული შემოქმედების) დანიშნულება.
- იმსჯელეთ, როგორ არის რეალიზებული ილია ჭავჭავაძის ეს შეხედულებები მის მხატვრულ შემოქმედებაში (განიხილეთ ილიას ერთი მხატვრული ნაწარმოები მაინც).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

ქართული ლიტერატურის შეფასების სქემა

1. პირველად იაკობმა სენაკში შეღწევა და ნაწამები დედოფლის ნახვა იმის მეშვეობით მოახერხა, რომ მცველს შეახსენა, რა ამაგი ჰქონდა მასზე გაწეული დედოფალს (გინდაც მოგკლან მისი გულისათვის, მერე რა მოხდაო...). დედოფლის სანახავად ციხეში შეღწევა იაკობმა მცველის მოქრთამვით მოახერხა (მცველს ძღვენს შეჰპირდა...).

1. მცველი შეარცხვინა ----------*1*

2. ქრთამის საშუალებით ----------*1*

2. შედარებით – „განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ – ავტორი მიანიშნებს ქართველთა სულიერი (სარწმუნოებრივი, რელიგიური...) გადაგვარების საფრთხეზე.

ეროვნულ გადაგვარებაზე ----------*1*

3. გრიგოლ ხანძთელთან მიგზავნილმა კაცმა იმიტომ ვერ აღასრულა ცქირის ბოროტი განზრახვა, რომ შეძრწუნდა სასწაულის ხილვით, მას ხელი გაუშეშდა და, შიშით შეპყრობილმა, ვედარ შეძლო გრიგოლის მოკვლა. გრიგოლმა სასწაულებრივად განკურნა ცქირის მიერ მიგზავნილი კაცი და უბრძანა, უკან დაბრუნებულიყო.

1. გრიგოლის დანახვისას დამბლა დაეცა ----------*1*

2. შეუნდო (მიუტევა...) ----------*1*

4. ნესტანი იმიტომ სთხოვს მიჯნურს, არ წამოვიდეს ქაჯებთან საბრძოლველად, რომ შიშობს, ამ ბრძოლაში ტარიელი დაიღუპება (ბრძოლაში ქაჯები მოკლავენ ტარიელს...). ნესტანის აზრით, იგი თავის მიჯნურს მზის საუფლოში (საიქიოში, იმქვეყნად, ზეციურ სამყაროში...) შეხვდება. ნესტანი ტარიელს ავალებს, წავიდეს ინდოეთში და დაეხმაროს ფარსადანს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნესტანი ტარიელს წერილთან ერთად უგზავნის თავისი რიდის (თავსაბურავის...) ნაჭერს. ნესტანის წერილში ჩანს მისი ერთგულება მიჯნურისადმი (ერთგული სიყვარულის უნარი...).

1. რათა არ დაიღუპოს ----------*1*

2. საიქიოში ----------*1*

3. დაეხმაროს მტერთაგან შევიწროებულ სამშობლოს ----------*1*

4. რიდის ნაჭერს ----------*1*

5. ერთგულება ----------*1*

5. ნაწარმოების მიხედვით, გურამიშვილი ლამისყანაში დასახლდა იმიტომ, რომ მის მამულს მტრები ხშირად ესხმოდნენ თავს („ქვეყნის წახდენის მიზეზით ვცხოვრობდი...“). ლეკებმა დავითის გატაცება იოლად მოახერხეს იმიტომ, რომ იმ მომენტში დავითი უიარაღოდ იყო (მტერი ბევრი იყო, ის კი – მარტო...). დატყვევებული დავითი ბედს რომ არ ურიგდებოდა ჩანს იქიდან, რომ მან ორჯერ სცადა ტყვეობიდან გაქცევა. ტყვეობაში მყოფი დავით გურამიშვილი ღვთის იმედად იყო.

1. შიშიანობის გამო ----------*1*

2. მარტო იყო (თავდასხმას არ ელოდა...) ----------*1*

3. ორჯერ გაიქცა ----------*1*

4. ღმერთის ----------*1*

6. პოეტის გულისთქმა „ეძიებს სადგურს“ მიღმურ სამყაროში („ზენაართ სამყოფში“...); „მხურვალე ლოცვით მიქანცებულ“ სულთან შედარებულია მთვარე.

1. იმქვეყნად ----------*1*

2. მთვარე ----------*1*

7. ხორციელ სილამაზესთან „შენამსჭვალებ“ გულს ახასიათებს ცვალებადობა (წარმავლობა, „ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები“...); ავტორი ბანოვანს საყვედურობს იმას, რომ იგი უკმაყოფილოა მამაკაცთა პირუმტკიცობით (იმას, რომ კაცს არ სჩვევია ერთგულება სიყვარულში; ბანოვანს არ სწამს სიყვარულის მარადიულობა...).

1. ცვალებადია ----------*1*

2. არ სწამს სიყვარულის მარადიულობა ----------1

8. იმის დასტურად, რომ „წამება მისი ღმერთს შეუწირავს“, განდეგილს ევლინებოდა მზის სხივი, რომელზედაც იგი თავის ლოცვანს დააყრდნობდა ხოლმე. როდესაც აღმოჩნდა, რომ სენაკში შემოსული სტუმარი ქალი იყო, განდეგილმა იფიქრა, რომ ქალის სახით მას ღმერთმა (ბედმა) განსაცდელი მოუვლინა („ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა განსაცდელი რამ მას მოუვლინა?“, „მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..“).

1. მზის სხივი იჭერდა ლოცვანს ----------1

2. ღმერთმა განსაცდელი მოუვლინა ----------1

9. როდესაც ოფიცერი ბუზების შესახებ საუბრობს, ავტორი გვიჩვენებს ამ პერსონაჟის სიბრიყვეს (უგუნურებას, ჭკუასუსტობას...). ლელთ ღუნიას ეგონა, რომ მგზავრი ქართველი არ იყო, რადგან მას რუსული (ევროპული) ტანსაცმელი ეცვა („ტალავარ არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ“).

1. სიბრიყვეს ----------1

2. ევროპული ტანსაცმელი ეცვა ----------1

10. როდესაც „სიდიადე ამ მუხთლობის თვალწინ გაისიგრძეგანა“, ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგს ჰკითხა: ქმარმა რა თქვა, როდესაც შენ მიერ ჩადენილი ცოდვის შესახებ შეიტყოო? („მერე? მერე? რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“). ამ შეკითხვას საფარ-ბეგმა უპასუხა, რომ ბათუმ მას შეცოდება აპატია („მაპატივა შეცოდება, როგორც ძმამ და მეგობარმა“). როდესაც ჰაჯი-უსუბმა „შეაყენა ზედა ფეხზე... დამბაჩა გატენილი“, საფარ-ბეგმა მას მორჩილად მიუშვირა მკერდი („მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს საფარ, მისი გამოზრდილი...“). ბოლოს ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგს უთხრა, სიკვდილის ღირსი შენ კი არა, მე ვარ, რადგან კაცად ვერ გამიზრდიხარო („შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“).

1. ქმარმა რა თქვა ----------1

2. მაპატია ----------1

3. მკერდი მიუშვირა ----------1

4. შენ სიკვდილის ღირსი არა ხარ (მოსაკლავი მე ვარ...) ----------1

11. მუცალთან და მის ძმასთან შებრძოლება ალუდას იმის გამო მოუწია, რომ ქისტებმა ხევსურების ცხენები გაიტაცეს. ალუდას იმიტომ შეეცოდა მუცალი და ვერ გაიმეტა „მარჯვენის მოსაჭრელადა“, რომ მოიხიბლა ქისტის ვაჟკაცობით. ხევსურებმა ალუდას „პირითა ჯავრიანითა“ იმის გამო აქციეს ზურგი, რომ ჩათვალეს – ალუდა გვატყუებს და სინამდვილეში იგი ქისტს გამოექცაო (იმის გამო, რომ ალუდამ დაარღვია თემის ადათი – მარჯვენა არ მოსჭრა მტერს). ალუდამ იმის გამო უთხრა საყვედური მინდიას, რომ მინდიამ მკლავი მოსჭრა მუცალს.

1. ქისტებმა ხევსურთა საქონელი წაასხეს ----------1

2. შეეცოდა ღირსეული ვაჟკაცი ----------1

3. ჩათვალეს, რომ ალუდა ცრუობდა ----------1

4. მუცალის მოჭრილი მკლავი მოიტანა ----------1

12. როდესაც მამიდის გათხოვებას ცდილობდა, არისტო ქვაშავიძეს ამოძრავებდა პრაქტიკული მიზანი – ელენეს ახალ ოჯახში თავშესაფარი მოეპოვებინა.

თავშესაფრის შოვნა სურდა ----------1

13. „ნაწვიმარ სილაში ვარდს“ ავტორი საკუთარი ცხოვრების გზას (სიზმარს, შორეული ცის სილაჟვარდეს) ადარებს. ამ ლექსში ავტორი მოიხსენიებს პოეტ დანტე ალიგიერის.

1. ცხოვრების გზას ----------1

2. ალიგიერის ----------1

14. მეფე გიორგის მამამზე ერისთავის ღალატის დაჯერება იმიტომ უჭირდა, რომ ერისთავი ბაგრატ კურაპალატის მეგობარი და თანამებრძოლი იყო (ახსოვდა მისი თანადგომა და თავგანწირვა ბრძოლებში; ერთხელ დაჭრილი გიორგი ბრძოლის ველიდან გამოიყვანა...). მეფისა

და სპასალარის აზრით, მამამზის „დარბაზობის ნამდვილი მიზეზი“ სიტუაციის დაზვერვა იყო (ისინი ვარაუდობდნენ, რომ შვილმა დასაზვერად გამოუშვა „საპატიო სტუმარი“ მეფის კარზე). გიორგი პირველი შიშობდა, რომ ამბოხებულ ფეოდალთა უკან, შესაძლოა, ბასილი კეისარი და არაბი ამირა მდგარიყვნენ.

1. მამამისის მეგობარი იყო (ერთხელ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა დაჭრილი მეფე) ———1
2. დაზვერვა ——1
3. ბასილი კეისარი, არაბი ამირა ——————————————————————————————1

15. ბრძანება – გემზე მძევლად დაეტოვებინათ ბექირბი ჩაჩბა – კუზმა კილგამ იმ მიზნით გასცა, რომ ხელში ნამდვილი მკვლელი ჩაეგდო (რათა თეთრგვარდიელი ოფიცერი გემზე გამოცხადებულიყო). სოხუმის მოსახლეობაში კუზმა კილგას ამ ბრძანებას მოჰყვა შიში (შეშფოთება, უჯუშ ემხას შეპყრობის სურვილი...).

1. უჯუშ ემხა რომ მოეყვანათ ——————————————————————————————1
2. შიში ——1

16. მხატვრული სახე, რომლის მეშვეობითაც ავტორი შამილის ბრძოლაზე მიანიშნებს, არის: „მთა... როგორც შამილის თეთრი ფაფარი“ („მე ცოცხალი ვარ ერთი მიურიდი“; „ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს“). ლექსის ავტორი საკუთარი განწყობილების გამოსახატავად იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ მხატვრულ სახეს: „რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა და კალმად კიდევ მინა რხეული“.

1. ჰაზავათი (მიურიდი, შამილის თეთრი ფაფარი) ——————————————————1
2. გიშრის ტბა (მინა რხეული) ——————————————————————————1

17. ავტორი დედას სთხოვს, ფეხშიშველი წავიდეს ხახულის მონასტერში და შვილისათვის ილოცოს.

მისთვის ილოცოს ——————————————————————————————————1

18. ვასიკო კეჟერაძის აზრით, „კარცერი-ლუქსი“ იმისათვის არის საჭირო, რომ ახალგაზრდა იძულებული გახდეს წიგნების კითხვა დაიწყოს.

უსაქმურებმა კითხვა რომ დაიწყონ ——————————————————————————1

19. ბელადმა იმიტომ გადაწყვიტა – „იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“ – რომ იგი სხვებს არ ჰგავდა (იგი გამართული დადიოდა; იგის შემოქმედებითი ნიჭი აღმოაჩნდა...).

იგი სხვებს არ ჰგავდა ——————————————————————————————1